სსიპ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბრძანება

31.05.2017 № 99

თბილისი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გაცვლით

საერთაშორისო პროგრამაში მონაწილეობის მიღების

მიზნით აპლიკანტების შესარჩევი საკონკურსო კომისიის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 25 იანვრის №2295 დადგენილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გაცვლით საერთაშორისო პროგრამაში მონაწილეობის მიღების მიზნით, აპლიკანტების შესარჩევად შეიქმნას საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:
   - არჩილ ფრანგიშვილი – რექტორი (კომისიის თავმჯდომარე);
   - ლევან კლიმიაშვილი – ვიცე-რექტორი;
   - ოთარ ზუმბურიძე – საერთაშორისო ურთიერთობათა და სტანდარტების სამსახურის უფროსი (სტუ-ს ინსტიტუციონალური კოორდინატორი);
   - გიორგი ძიძიგური – სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
   - იური ლომიძე – სწავლების დეპარტამენტის უფროსი;
   - გიორგი აბრამიშვილი – სასწავლო პროცესის მეთოდური უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი;
   - გიორგი კულდონაშვილი – სოციალურ საკითხთა, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსი;
   - რატი გურგენიძე – სტუდენტთა თვითმმართველობის პრეზიდენტი;
   - ნინო ჟიჟილაშვილი – საერთაშორისო ურთიერთობათა და სტანდარტების სამსახურის საერთაშორისო ურთიერთობათა ჯგუფის უფროსი (მდივანი);
   - საერთაშორისო ურთიერთობათა და სტანდარტების სამსახურის თანამშრომელი, რომელიც კოორდინაციას უწევს კონკრეტული პროექტის აქტივობებს.

2. დაევალოს კომისიას:

ა) სააპლიკაციო განაცხადების განხილვა და გასაუბრება ჩაატაროს 30 ნოემბრამდე (გაზაფხულის სემესტრში მობილობისთვის) ან 30 აპრილამდე (შემოდგომის სემესტრში მობილობისთვის);

ბ) კონკურსანტების შეფასება განახორციელოს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 25 იანვრის №2295 დადგენილებით დამტკიცებული კრიტერიუმების მიხედვით;

გ) კონკურსის შედეგები კონკურსანტებს ინდივიდუალურად აცნობოს საკონკურსო განაცხადში მითითებული ელ. ფოსტით.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ვიცე-რექტორს ლევან კლიმიაშვილს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს 2016-2017 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან.

რექტორი *პ. ფრანგიშვილი*

ვიზები:

ვიცე-რექტორი
ლ. კლიმიაშვილი

სწავლების დეპარტამენტის უფროსი
ი. ლომიძე

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის
უფროსი *ბ. მაისურაძე*